ქუთაისის "ინფორმის" საწოლების სახელსმსტის ტექნიკური ხელმძღვანელი რეკია, ეს სიბრძნის რეკია, რომელიც ერთხელ მისი მოიფიქრე იყო აფეკულობით. ცოლს მისი წერია ციხეცე იცის (რასაკვირებელია მისი).

რეკია (მისი) დამატებითი ხელობას. იგი უნდა შეტყობეს იცის ასეთი ტკბილი შედეგელი ინსტრუმენტის მისი გამეჭრეს უწოლებს.

მისი ცილს და ვერეშობის, განწე-სი №33 31

მისი ცილს და ვერეშობის, განწე-სი №33 31

მისი ცილს და ვერეშობის, განწე-სი №33 31

მისი ცილს და ვერეშობის, განწე-სი №33 31



3. მიშოკიმ გადაჭრული ზომები მიიღო „ხატრფის“ გადასარჩენად.



4. რა გაზინებს შენე კიო, შეყვარებულებს არას ვერია მე? უბრალო ძაღლია მისი მიშოკის წარმატება უხურდა.



### გერმანულ უაჟისჯის სიურთხილა

- გამოსარკვევად გგზავნიან?
- ღიახ, გზა უნდა აღმოვაჩინო საიდანაც სამხედრო დეპერტორები აპარებიან უცხოეთში.
- ნახე, კარვად გამოარკვიე, იქნებ ჩვენც დაგვირდეს.

## ძალიან მკაცრი მდივანი

ჩვენ მივიღეთ აჭარის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტისადმი ა. წ. 19 მაისის თარიღით გამოცემული შინა-საკანცელარიო ბრძანების ასლი:

### ბრძანება № 5

აჭარის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტისადმი.  
19 მაისი 1939 წელი

### § 1

„საშუალო საათებში დისციპლინის დარღვევისათვის, რომელიც გამოიხატებოდა თანამშრომლების მიერ პირად საქმეზე დაწესებულებაში კინკლაობასა და ხმაურებაში, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიისა და მთავრობის დადგენილებას.—გამოეცხადოს სასტიკი საყვედური ინსტიტუტის შემდეგ თანამშრომლებს:

1. ვენერა ჩხეტიანს.
2. ელენე ჩიმაკაძეს,
3. ვერა გვალიას
4. შურა ელიავას

და შემდეგში თუ დაწესებულებაში კიდევ დაურჩება ადგილი ურთიერთშორის მითქმამოთქმას და კინკლაობას, დამნაშავენი დათხოვნილი იქნება სამსახურიდან.

### § 2

წინადადებას ვაძლევ ინსტიტუტის საქმეთა მმართველ ანხ. ვალიას, რომ შემდეგისათვის არ იქნას დაშვებული მის მიერ ის მდგომარეობა, რომ ის მთელი დღის ბოლომდე სამსახურში იყოს. თანამშრომლების კინკლაობას და წესრიგის დარღვევის შესახებ ადმინისტრაციას აცნობა კერძო პირებმა, რის შესახებაც ვაფრთხილებ ანხ. გვალიას (და სხვ.).

დირექტორის მაგიერ (ხელწერა)

ეს დირექტორის მაგიერი, რომდენადაც ვიცით ინსტიტუტის სწავლული მდივანი ბრძანდება. თანამდებობა, რა თქმა უნდა, არ სცვლის მდგომარეობას და სრულიად ღირსეული სიმალლიდან აფრქვევს მრისხანების ცეცხლს ანხ. დირექტორის მაგიერი, როცა საქმე ეხება „პირად საქმეზე დაწესებულებაში კინკლაობასა და ხმაურობის აღკვეთას, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიისა და მთავრობის დადგენილებას“.

ცხადია, აღნიშნულ ინსტიტუტში ძალიან მკაცრი ბრძანების შედეგად დისციპლინა უთუოდ მოიგებდა, მაგრამ რამდენს მოიგებს ენის სიწმინდე, რომ იქ ასეთივე მკაცრი ზომები ტარდებოდეს მართლწერის ელემენტარული ნორმების დარღვევის წინააღმდეგაც!

## წუნი, მაგრამ არა ტაქტი

რომ იტყვიან დულს და გადმოდისო—ასეთ მდგომარეობაშია კულტმუშაობა-ბორჯომის საკასრე ქარხანაში. ეს გასაგებიცაა, რადგან თვით ქარხკომი თავდადებულად იბრძვის კულტურული გართობისათვის. იგულისხმეთ, რომ ამ გართობაში შედის, უპირველეს ყოვლისა, ჭიდაობა.

ეს იმიტომ, რომ ქარხკომის თავმჯდომარე ეტყობა, დამსახურებული მოქიდავე ყმაწვილი უნდა იყოს. ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო,—იღწვის ქარხკომი კულტურის ფრონტზე—ჭიდაობისათვის. ამა წლის 30 ივნისსაც ქარხნის კლუბში მოაწყო კულტურული სანახაობა, რაც აუწყა მთელ ბორჯომს სხარტად და კოხტად გაფორმებულმა აფიშებმა.

აი თვით აფიშა:		
„30	1930	30
VI		VI
საკას	ქარ	კლუ
გაიშარ		ქართუ

### ჭიდაობა

ხაშური — ბორჯომი  
დაუხრავს                      ზურნა  
ხელ — ვ. შალუტაშვილი  
დასა                                      9                      საა.“

ეს იეროგლიფი იმდენად გასაგებია, რამდენად შესავალში უკვე განვმარტეთ, მაგრამ მაინც იკითხავს მკითხველი რატომ იყო საჭირო ასეთი რებუსის ფორმაო?

იქნებ იმით, რომ ქარხკომს არ სურს ჩამორჩეს სატკეჩე საამქროს წუნის გამოშვებაში.

ეს გამოსავალი არ არის ამხანაგებო, აფიშა ხომ ტკეჩი არ არის, რომ ყურადღება არ ავინ მიაქციოს?

ნახ. დონისა.



## რაიონულ მხანაძრის სისწრაფე

— ბოზოკარიდან ხართ? რაიო? ხანძარია? არ ჩააქროთ, ახლავე მოვლივართ...



# ონოფრე კონტრიკაძე ჰაემანს



ონოფრე კონტრიკაძე სულ ერთი თვეა, რაც მთავრდება და დანიშნეს. ახალი თანამდებობის სავარძელში სიამაყით რომ ჩაჯდა, გადახედა თავის მონაგარიზე ქალს და სთქვა:

— აბა ჩემო ონოფრე, აქამდე თუ არ გწყალობდნენ ქალები, ახლა მაინც ზევით ხარ აწეული და ამ დარგში ბედი გაგიღამებს. კონტრიკაძემ მაკიდის უჯრა გამოსწია და თითქოს შიგ ჩაალინინა:

„რომ არ მწყალობ, ცოდო ა-ა-არ ვა-ა-არ..“

კონტრიკაძე არც ახალგაზრდად ითვლებოდა, არც მოზრუნულად. სიყვარულზე გულწაკლებათ იყო. სულ იმას ოცნებობდა ვინმე ლამაზი გოგონა შეერთო ცოლად. თმა უდროოდ შეუთეთრდა. კარგა მოზრდილი კეხიანი ცხვირი მშასავით შემოესწრო. ქალი, რომელიც ონოფრეს ეტრფოდა, ან სიბერეში უნდა ყოფილიყო ფეხშედგმული, ან რაიმე სიმახინჯით შემკობილი. ამიტომ იწუნებდა მათ ონოფრე. ისიც იწუნებდა, მასაც იწუნებდნენ და რჩებოდა ასე უცოლოდ.

ხშირად უნიშნავდა ჰაემანს ქალებს. ხშირად სამსახურის დროსაც მიეშურებოდა დანიშნულ ადგილს. თანამშრომლებს ასე განუცხადებდა ხოლმე:

— ბორჯაგაშვიტების ცენტრალურ გამგეობაში მივდივარ. ან და — ფინანსთა სახალხო კომისარიატში მივდივარ!...

ერთ დღეს ჩვეულებრივად დარეკილი ტელეფონის მილი რომ აიღო, ვილაც უცნობი ქალის ნახი ხმა გამოელაპარაკა:

— უზუნდარაშვილსა სთხოვეთ, ამხანაგებო!...

— აქ არაფერია მყავს უზუნდარაშვილი, ქალბატონო!

— უკაცრავად. მაშ ნომერი შემცდენია.—ნახად მოვბოდიშა ქალის ხმა.

— არაფერის გენაცვალე.—უპასუხა კონტრიკაძემ და ორივემ ტელეფონის მილები დაჭკიდეს.

წუთიც არ გავიდა, რომ ტელეფონის ხარი ხელშეორედ დაირეკა.

— გისმენთ.

— თუ შეიძლება უზუნდარაშვილს სთხოვეთ, — გაისმა ისევ ნარნარი ხმა.

— თქვენი მშვენიერი ხმის მოსმენა მე არ მომწყინდება, მართლაც „უზუნდარაშვილი“ ჩაშესმის ყურში მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს ორგანიზაციაში აგეთი პირი არა მყავს. — აღერხისანად გამოელაპარაკა კონტრიკაძე.

— მაპატიეთ, თუ შეიძლება. როგორც სჩანს ნომერი სწორედ არ მოუციათ.

კონტრიკაძეს ისე მოეწონა ამ ქალის ხმა, რომ გადასწყვიტა გასცნობოდა. იფიქრა, ასეთი წკრიალა ხმის პატრონი უსათუოდ ლამაზი ქალი იქნებოდა. იქნებ ჩემი საბედო კარზე მომდგომია და თვითონვე მირეკავსო.

— უცნობო ასულო, მე მომწონს თქვენი ხმა, რომ ყოველი თქვენი სიტყვა მაღამოსავით დამედო. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ხმა შემეყვარდა კიდევ და რომ არ გაგიცნოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენზე ოცნებაში ვიყო და ზღაპრული ჰაბუკით გეტბდეთ და ვერა გპოულობდეთ.

— ასე უცბად, როგორ შეიძლება შეგყვარებოდათ ჩემი ხმა?

— რატომღაც არ შეიძლება თუ კი თეატრში ხდებოდა, განა ცხოვრებაში არ მოხდებოდა? თეატრი ხომ ცხოვრების სარკეა. ნუ თუ თქვენ არ გინახიათ არშინ მალ-ალანი.

„ერთი ნახვით შემეყვარდი — არშინ მალ-ალან“.. მოსწრებულად უპასუხა კონტრიკაძემ დაქვის სტრიქონიც ტელეფონის მილში ჩაიმღვრა.

— თქვენ ისეთი ტკბილი ლაპარაკი გაქვთ, რომ გეტყობათ ძალიან სასიამოვნო პიროვნება ხართ. დიდის სიამოვნებით გაგაცნობით.

— რადგან თანახმა ხართ, შეგვხედეთ ხვალ ერთმანეთს, სადამოს რვა საათზე ქალაქის საბჭოსთან, საათის ქვეშ. ოღონდ რომ ერთმანეთი ვიცნოთ, თქვენ და მეც მკერდზე წითელი ვარდები გავიკეთოთ.

— ძალიან კარგი..—უპასუხა ქალმა და შეთანხმდნენ. ასე დანიშნა კონტრიკაძემ მორიგი ჰაემანი.

მეორე დღე კონტრიკაძემ სამსახურში მზიარულ გუნებაზე გაატარა. სადამოს მთელი მისი ბუღალტერია უნდა მოსულიყო ბალანსის შედგენაზე სამუშაოდ, მაგრამ მას არა „სცალოდა“, ამიტომ თანამშრომლებს გამოუცხადა:

— ამ სადამოს მე ვერ მოვალ, ფინანსთა სახალხო კომისარიატში მივდივარ, იქიდან ცენტრალურ გამგეობაში შევივლი, მერე შეიძლება რაისაბჭოშიც შევიარო, თუ ვინმემ მიკითხოს ასე გადავიცეთ.

კონტრიკაძე ასე ფიქრობდა, თუ ერთ ადგილას მეძებეს, მეორეში მიგულისხმებენ, თუ მეორეში მომაკითხეს — მესამეში ვიქნებიო, განგებ აბნევედა გზაკვალს. როგორც იქნა სადამოც დადგა.

ჩაიცვა თავისი საგარეო ტანსაცმელი და ავტობუსისაკენ გაეშურა.

დასვენების წინადღის გრილი სადამო იყო.

უპირავი ხალხი დასვირნობდა გარეთ. ეშურებოდნენ ზოგი დასვენების პარკისაკენ, ზოგი ფუნჯულიორისაკენ, ბაღებისაკენ; კინოებისაკენ.

ავტობუსს მრავალი ხალხი უცდიდა.

აი, ჩამოიგრილა ავტობუსმა. გაჩერდა, ხალხი სჩქაროდ მიეშურა კარს. არც კონტრიკაძეს დაუცდია. რაც ძალი და ღონე ჰქონდა მისწი-მოსწია ხალხი და კიბეზე ფეხი შესდგა.

— თქვენ ურიგოდ რატომ მოდიხართ? — გამოელაპარაკა ქალი.

— თქვენსავით სასვირნოდ კი არ მივდევარ, კრებაზე მიმეჭარება.—ესროლა კონტრიკაძემ.

— განა ჩვენ კი არ გვეჭარება, გამოელაპარაკა გაკაპსებული ქალი, — ხუთი წუთი დამრჩენია. დაწესებულებაში ოცი კაცი მაინც მიცდის.

ერთხელ კიდევ წაიწია წინ კონტრიკაძე და შევიდა კიდევ ავტობუსში, მაგრამ შემთხვევით მოჩხუბარ ქალს ფეხზე ფეხი დაადგა.

იწვილა და იკვილა ქალმა.

— შე ნადირო, შე უზრდელო, მაზოლზე ფეხი დამადგი...

— თქვენ მაზოლს თქვენ მოუარეთ. მაგახეც მე უნდა ვიზრუნო? — მოსწრებულად უპასუხა კონტრიკაძემ. ქალმა შეხედა კონტრიკაძეს და გრძელი ცხვირი რომ დაინახა ზურგი შეუქცია, გულში ბევრი სწყველა

და ლანძღა. ლამაზი კაცი რომ ყოფილიყო აპატიებდა. თავის მხრივ კონტრიკაძეც ლანძღავდა. არც მას მოეწონა ქალი.

ის ქალი წინ გადმოვიდა. კონტრიკაძე უკან გაჰყვა ერთმა რედკულიდან, მეორემ პიჯაკის ჯიბიდან ვარდი ამოიღეს და მკერდზე გაიკეთეს. ორივენი საათის ქვეშ მიეშურებოდნენ. საათიც რვას უჩვენებდა.

ქალი შენობის კუთხეს რომ მიუახლოვდა, შემოტრიალდა და ელდანაკრავით გაშეშდა. მან ვარდი დაინახა, ეს ვარდი სწორედ იმ კაცს ეკეთა, რომელიც ავტობუსში ლანძღა და ათრია.

თავის მხრივ კონტრიკაძეც დაიბნა. წითური ცხვირი და თვალები უფრო გაუწითლდა, სისხლით ავესო. აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

— ბედი არა მაქვს, ბედი, ისეთი ლამაზი ხმის პატრონი, ასეთი უშნო ქალი რომ არ გამომდგარიყო, რა იქნებოდა. — და ბრუნდებოდა კონტრიკაძემ მკერდიდან ვარდი მოიგლიჯა, ძირს დაანარცხა. ქალი შეტრიალდა და გაიქცა. მისი ვარდიც ძირს დაეცა ისიც ბედს ემდურებოდა.

იმ სადამოს კი ფინსახკომიდან ბალანსის გამო მოსული ამხანაგები კონტრიკაძეს ეძებდნენ რაისაბჭოშიც, ცენტრალურ გამგეობაშიც, ფინსახკომშიც. მაგრამ არსად აღმოჩნდა.

ჰაემანეს გადაყოლილი მთავბუხი, ისევ მონაგარი შედ დასვეს.

## ელიზბარ პოლუმორდგინოვი

## ეჩიბგაუ ავაგო კაკანაძის სიმღერა

(სოფალი გოსლავი, ზესტაფონის რ.)

ვისაც რა უნდა ისა სთქვას. სულ სხვაა ჩემი ტრფიალი, მიყვარს ტკიცინა ფულები მათი ხელებში ტრიალი

თუ ვინმე ავად გახდებდა, იმ წამს ჩავადებ ვალშია, ხუთ ჩერვონცინას ავადობ— ერთ ბოთლ „აგურის წყალშია“.

ჩემი ზანდუკი სავესა კენჭებითა და ძვლებითა, ავადმყოფიდან „გავდენი“ მაგნე სულს — ქრისტეს ჯვრებითა.

არავინ არ მოხოვს პასუხებს, მაქვს საგულეში გულია, რასაცა შევკამ ჩემია, რაც არა — დაკარგულია.

მეთვალყურე


ნახ. ა. რადაკოვისა.

(„ქროკოლილიდან“)



1.

— ამხანაგო რედაქტორო! მოთხრობა მოგიტანეთ.  
— მოთხრობა? ვნა-ა-ახოთ.



2.

— უცნაური სახელწოდებაა — „ტყეები და მთები“ — ისევ ლირიკა...



3.

— გრძელია, მშრალია, ყოფაცხოვრებას არ იცნობთ, ფულკლორი არ არის. იკითხეთ პუშკინი და ჩემი ნაწარმოებნი...




4.

— ცხოვრებას უნდა დააკვირდეთ, ახალგაზრდავ, ცხოვრებას უნდა დააკვირდეთ. თქვენ გცხელათ, გაიხადეთ პალტო მაშ ასე, მე ვამბობ, რომ...



5.

— მოითმინეთ, ეს რა გიმშვენებთ მკერდის მარცხენა მხარეს?



6.

— ღიას... მე ვამბობ რომ... ძლიერი მოთხრობა დაგიწერიათ, ლირიკული, სიცოცხლით აღსავსე... ნება მიბოძეთ მოგილოცოთ ახალი შედეგების შექმნა.


გ ს ლ უ ბ ა რ ე ა ს ი ა გ წ ე რ ა

ნახ. ი. სიმონოვისა.

ნახ. მ. ხრაპკოვსკისა.



— სად მიგაქვს ნაგავი?  
— ჩემს საკარმიდამო ნაკვეთზე. მაშ საკოლმეურნეო მინდორზე ხომ არ დავყრი ყოველგვარ ნაგავს?



1.

ზღვა თეთრი არის, ტრუსები — შავი.

2.

შობი

3.

ზღვა შავი არის, ტრუსები — თეთრი...





— რა გატირებს ბებია, ეს მუსიკა ჩვენი ახალგაზრდა კომპოზიტორისაა, ორი კვირის წინ დასწერა და სატირელი, მე მგონია, არ უნდა იყოს. — არა შვილო, ჩემი ახალგაზრდობა გამახსენდა, ამ მუსიკას 16 წლის რომ ვიყავი მაშინაც უკრავდნენ ბოლშე.

მოღითის კვ. გვ. საღვთის საღაოსთან

(სცენა სინამდვილიდან)

(მატარებლის ზარი უკვე მიცემულია, ხალხი დაკეტილ სალაროს აწყდება, ჩოჩოლია, აქაიქ წამოძახილები: „მატარებელი საცაა შემოვა სადგურში და სადაა მოლარე?“)

**პირველი მგზავრი**—(სადგურის მორიგეს) ამხანაგო მორიგე, რაშია საქმე სალაროს რატომ არ გვიღებენ?

**სადგურის მორიგე**—ამ წუთში ბატონებო, (დარაჯს) სილიბისტრო, არიქა თუ კაცი ხარ, გაიქეცი ბაგრატთან, იქნებ ნიკიფორეს ღუქაში იპოვო, უთხარი მატარებელი გამოვიდა და ამ მინუტში აქ გაჩნდითქო (დარაჯი გადის).

**მეორე მგზავრი**—რატომ თავის ადგილზე არ არის მოლარე.

**სადგურის მორიგე**—რა ვიცი, მაგის ოჯახი დაიქცეს, თავის-ნება კაცია, როგორც უნდა ისე იქცევა, მოეხასიათება ვალებს სალაროს, მოეხასიათება არა.

**მესამე მგზავრი**—კი, მაგრამ, სამსახური? დისციპლინა?

**ხად. მორიგე**—რაც შეეხება დისციპლინას... (ამ დროს მატარებელი ნიშანსვეტთან მოაკივლებს, მგზავრები უფრო ახმაურდებიდან. შემოდის დარაჯი).

**დარაჯი**—ვერ ვნახე, ამხანაგო უფროსო. **ხად. მორიგე**—(ყვირის) ბაგრატ, ბაგრატ, სად ჯანდაბაში დაიკარგე კაცო, ბაგრატ.

**მოლარე ბაგრატ ფეკიალაძე**—(სალაროს შიგნიდან ფანჯარას გამოაღებს და მთქნარებით) აქა ვარ, მაგრად, ამხანაგო უფროსო.

**ხად. მორიგე**—შე ოჯახქორო, ჩქარა ვააღე სალარო, მატარებელი უკვე შემოდის.

**მოლარე**—რა მეჩქარება ამხანაგო უფროსო, „აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამიაო“ ნათქვამია (ზმორებით წამოღდება და სალაროს ადებს, ხალხი ერთბაშად მიაწყდება, გაისმის შეძახილები: „არიქა შენი ჭირიმე ძირულამდე ერთი ბილეთი... შორაპნის სამი ბილეთი, საჩხერე ერთი. სალიეთი ორი“...)

**მოლარე**—აი მართლა თქვენ ვაიარეთ ყვე-

ლომ სალიეთში, არ მიცლით ხალხო? შენ ბოშო ხურდა მომეცი ორი შაური.

**მგზავრი**—არა მაქვს შენ გენაცვალე, მანეთიანი ინებეთ (გაუწოდებს).

**მოლარე**—შენიდანაც შემოგებე ვმეწვილო სამი შაური, თუ არ გაქვს.

**მეორე მგზავრი**—ამ წუთში მოგართმევ ბატონო (ეძებს ჯიბეში ხურდას).

**მოლარე**—ხურდა თუ გაქვს ცოტა მოიცა... აბა ძირულაში ვინ მოდის,

**მესამე მგზავრი**—მე მივდივარ ბატონო და, იქნება ხუთმანეთიანი დამიხურდავო...

**მოლარე**—აფრაკათ ხომ არა ხართ, სად მცალია დასახურდაებლად, მესროლე ევ ხუთიანი და ხურდას ამოგლისას დაგახვედრებ.

**მესამე მგზავრი**—კი ბატონო.

**ქალიშვილი**—(სალაროს მეორე ფანჯრიდან) ბაგრატ, შენი ჭირიმე, საჩხერე (თითებით უჩვენებს ოთხი ბილეთი).

**მოლარე**—ამ წუთში (აძლევს ბილეთებს, ქალიშვილი ჰაეროვან კოცნას უძღვნის და ფანჯარას მოშორდება).

**მე-4- მგზავრი**—არიქა შენი ჭირიმე, სულ წაიღე ეს თუმნიანი, ოლონდ მატარებელზე ნუ დამტოვებთ, ზესტაფონში მივდივარ. შვილის ავადმყოფობა მომივიდა.

**მოლარე**—მოგიკვდეს ბაგრატი თუ ესეთ დროს ბილეთი დაგამადლოთ. აბა როდისღა უნდა გამოგადგე ჩემო ქაიხოსრო, თუ ეხლა არა შე კაი კაცო, ხურდას რაგა გამოგართმევდი. მაგრამ რალაი შენი სურვილია და შენს წვერს დიდ პატივს ვცემ ხათრით უარს რავე გეტყვით. მხოლოდ იცოდე ჩემო ქაიხოსრო რომ ამ ფულს შე ჯიბაში არაფრის გზით არ ჩავიდებ და პირდაპირ ნიკიფორეს ღუქანში გაგეშურები და იქ შენი შვილის ჯანმრთელობის სადღეგრძელოს გადაეკრავ. (ზარს აძლევენ, მატარებელი იძვრის, დარჩენილი მგზავრების ხმაური ერთი ორად მატულობს. წამოძახილები: „რა ამბავია, ამას რას მოვესწარით, სად გინახავსთ სალაროს მატარებლის შემოსავლის შემდეგ ალებდნენ“).

**მოლარე**—(შიგნიდან) აბა, წყნარად იყავით მანდ, თორემ თუ გამოგივარდით სულ ბუკივით გაგიხდით ცხვირებს (თავისთვის) ვენაცვალე ჩემს გოგრას! ჭკუით გატენილი თავი მაქვს. რომ ასე არ ვშვრებოდე, რა ქანქარი გაუძღლებს?... (სალაროს კეტავს და არხეინად გაიშხლართება ტახტზე)...

მუშაბი

ბაკურციხის სასადილო

(ს. ბაკურციხე, გურჯაანის რაიონი)

ბაკურციხის სასადილო კერძს მოგართმევს ისეთ ნაირს, ბევრის ძებნა აღარ გინდა. შიგ მჭერს ნახვე ყოველნაირს.

როცა ჰამას შეუდგები, უნდა იყო კაცი ფრთხილი:— ხორცს ეძებ და ჩანგალს მისდევს ხოჭო, შუა—განკვეთილი...

რაც ძელები აქვს ცხვარს თუ ქათამს, ერთ კერძშია თავმოყრილი, თქროს კბილიც იქ დავკარგე შინ დავბრუნდი დაღრმეჯილი.

ფიქალ-ჩანგალი



## „უარისსვალება“

„ბლენანოვის პროსპ. № 107-ში მოთავსებული „საქ-ფოტოს“ განყოფილება კლიენტებს უკარგავს გადაღებულ სურათებს“.

ნამის კორესპონდენტიდან

## პაჭარა გაუგებრობა

„საქვაჭრობის თელავის პურის საცნობი ცუდი ხარისხის პროდუქციას უშვებს“.

ლამპარას კორესპონდენტიდან


## თბილისელი რთმისმომწოდებელი

საბურთალოში, ახმეტის, წითელ პარტიზანის და კომბაინის ქუჩაზე წვიმის დროს ტბები დგება.

ო. სამხარაძე



— ეს რას გავს? მე ბაბუას სურათი გადაგაღებინე, თქვენ კი—გაბუკის პორტრეტი დაგიმზადებიათ.  
— წაიღეთ, სურათი თუ არ გავს, ახალგაზრდობას მაინც გაიხსენებს.



— მე თეთრი პური გთხოვეთ, თქვენ კი შავი ამიწონეთ?  
— კარგად დააკვირდით. პური თეთრია, მაგრამ ქვეშიდან დამწვარია, ზევიდან კი, მაწუთი აქვს დასხმული.



ტურფავ, ტურფავ გვედრები მოაცურე ჩემსკენ ნავი,— თორემ სხვა გზით იმ ჩემს სახლში ვერ შევყავი ფეხი, თავი...

## ჩოხაგაუკომონი

ჩოხატაურში სახელგამის მადანიის გამყიდველი ქეთო ბარამიძე პატეფონის ფირფიტებს მხოლოდ ნაცნობ-მეგობრებზე ჰყიდის.

ოლაშვილი

## სიგლარა და სხოვრება

„არაკვისპირეღის ქუჩაზე შეუწყნარებელი ანტისანიტარიაა, ტროტუარებზე დგას ნაგვის ზვინები და გუბები.“

ნ. მსროლელის კორესპონდენტიდან

## პაჭაკი ნიანგს

(ქ. ზესტაფონიდან)

აქ ჩვენ ფოსტის ანგარანში უცნაური რამე ხდება: შიგ თვეობით წერილები დანაყარი არ რიგდება.


პატრონებს კი—მოლოდინში სათითაოდ სული ძვრება, და გამგე კი, უზრუნველად ამთქნარებს და იზმოვრება.

ხან პეტრეა, დამრიგებლად. ხან ლუბა და ხან ოთარი; ხან სულყველა მოისპობა აღარც ერთი აღარ არი.


მიხვალ, თვითონ უნ დაეძებ, მაგრამ რაი? არაფერი. გამოდიხარ და გული გაქვს ანაშფოთებ, ანაძგერი...

არა გჯერა? თვით ჩამოდი და იძიე საქმე ესე, ვინც თავი ვერ იმართლოს ჩანგლის წვერით აგვიკენესე...


თაკითინა



უყვარს ქეთოს ფირფიტა და ნაცნობ-ნათესავი, ამისათვის გამოება გრამაფონის თავი.



გადმიშვი მთაო, გადმიშვი. რა ნისლი მოგიხვევია...



### ნორჩი „რახანზანის“ გასაჭირი

დედა: — რა უბედურებაა, მთელი საათია „ნანას“ უკრავთ, სხვა რაზე დაუკარით, იქნებ ბავშვი როგორმე დავაძინო.

## შემთხვევა ქათამის სასაღილოში

(თითქმის ჩვეულებრივი კორესპონდენცია)

- რა გერგება?
- ამ წუთში. (მიმტანი უბლზე თითს იჭერს) 70 მანეთი, ჩემო ბატონო.
- ამდენი რა ჯანდაბა შეეკამეთ?
- შე დალოცვილო, ერთი საათია ზიხართ და 70 მანეთს ვერ შეკამდით?
- იანგარიშე თავიდან.
- არ მენდობით ხომ? კარგი. 1 ბოთლი ღვინო, 2 ულუფა ქათამის ხორცი.
- ქათამი როდის მოიტანე.
- დაგავიწყდათ?...
- მე არაფერი მავიწყდება.
- კარგი, მე ვიზარალებ. წვანილი, შემწვარი სულგუნი, ორი სუკის მწვადი...
- არ ყოფილა... (მიმტანი განგებ ჩაფიქრდება)
- ბოდიში. გულზე გადამვარდა, ის სხვის სუფრაზე მივიტანე. პური, ლიმონათი, მჟავე, ეკალა, ორი კერძი გოჭის ხორცი.
- სად იყო გოჭის ხორცი?

(ჩაფიქრდება) მართალი ხარ... ის იმ სუფრაზე მომთხოვეს... ასე, ამრიგად 40 მანეთი.

- რატომ ორმოკი? კიდევ იანგარიშე. (ანგარიშობს ნერვიულად).
- სწორი კაცი ყოფილხარ, ოცდარვა მანეთი მერგება.
- ოცდარვა მანეთი კი არა, 21 მანეთი გერგება.
- მაგაშიც მართალი ბრძანდები, მაგრამ ვინაიდან ჯერ კიდევ არ არის მოჭრილი ფული არც 7 მანეთიანი და არც ოცდარვა მანეთიანი, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ციფრი დავამრგვალე.
- კი, მაგრამ, ოცდა რვა მანეთიანი კი არის მოჭრილი?
- სწორი ბრძანებაა, მარა დაბნეული ვარ... სახლს ვაშენებ და ფიქრი სხვაფერ მუშაობს.
- არა, ბიძია, სახლს მეც კი ვაშენებ, მაგრამ ამიტომ სხვის სახლის დანგრევას კი არ ვაპირებ?

კოსტაიდი

უკვე შუადღე იყო, როცა უჩამბის სოფ. საბჭოს თავმჯდომარე ხასან წულუკიძე სავარძელზე წამოჯდა და მოქნარება დაიწყო... აჭარის მთებიდან უხვად მონაბერმა გრილი ნიავის ალერსმა გული გაუმხიარულა და ისევ ოცნებას მიეცა... „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“—უთქვამს ხალხს და მართლაც ეს პირდაპირ ჩემზეა გამოჭრილი—გაიფიქრა ცასანმა და გუშინდელი დღის სურათები ნათელი სიციხოვებით გადაეშალა თვალწინ... ხანდახან საქმეს თუ არ უგვერდღე, შეიძლება წაგაქციოს კიდეც და უცბად ჩავიკლას ახალგაზრდული გრძობა და მისწრაფება.—გაიფიქრა კვლავ მან. მართალია ყველანი უკმაყოფილონი წავიდნენ, მაგრამ რა ვუყოთ, ყოველივე ახალი საკითხი წინააღმდეგობათა მთლიანობაში უნდა გადაიჭრას, ძველი მუდამ უთმობს ადვილს ახალს და მეც სრულიად ახალი სიტყვა წარმოვსთქვი გუშინ საზოგადოების წინაშე და განა ჩემი სიტყვის სიმტკიცე იმაში არ გამოიხატება, რომ მთელი ჩემი გრძობათა მხურვალეობა მასში მთლიანად ჩავაქსოვე და ყველას არ განუმარტე, რომ ესაა ადამიანი, აღფრთოვანებული ბუნების სიმშვენიერით თავისუფალ დროს ჩვენი კეკლუცი მთების კალთებზე უნდა ატარებდეს მითქი. და განა ჩემს სიტყვაში არ გამოიხატა უდიდესი მზრუნველობა მოსახლეობის მიმართ,—მათი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით? ნუ თუ ზოგიერთებმა დღემდე კიდევ ვერ გაიგეს, რომ ბევრი სიარული ადამიანს ღლის, ჭანცავს და ძალღონეს ართმევს ნაყოფიერ მოშაობისათვის. და მეორეს მხრივ, მეც ხომ ახალგაზრდა ვარ, მეც ხომ უნდა მქონდეს დრო თავისუფალი, როცა ხარ შენთვის ჩაიქტილი კაბინეტში, კაკალი კაცი არ გაუუხებს მშვიდად წამოწოლილხარ მხარეთმძღვე სავარძელში და ეძლევა ტკბილ ოცნებას... გინდა შენი აღტაცება და სიხალისე ვინმეს გაუზიარო... უცხო ქალწული, რომელიც მთის ორწოხებზე გადმო-

ფრქვეულ ჩანჩქერთან სდგას, მჩქეფარებით აღსავსე და ხელს გიწვდის, გინდა ტარიელად გადაიქციე, გადალახო ყოველივე სიძნელენი, მოიტაცო ტყის ასული, გაშმაგებით დაეწაფო მის ციურ ხავეთა ტილლების მღელვარებას და... ხასანმა კვლავ ჩათვლინა...  
ხასანის გუშინდელმა განცხადებამ თითქოს გასჭრა და მთელი დღე საბჭოში არავინ გამოცხადებულა. ხასანი ძილშიც ზეიმობდა თავის გამარჯვებას... მორჩა და გათავდა ის საყსებით მიუვალი გახდა. დღეიდან მას აღარავინ შეაწუხებდა... იქნებოდა თავისთვის ვითარცა მტრედი უმანკო და...  
...კარებზე ვილაცამ დაარახუნა... ხასანი წამოიჭრა, თვალეში რისხვის ნაპერწკალა იელვა. ნუ თუ ასე მალე დაავიწყდათ ჩემი სიტყვა? მაშ მე...  
— შეიძლება?—ხასანის კაბინეტში მასწავლებელი შემოვიდა...  
— ხასანი მზად იყო სცემოდა მასწავლებელს, რომელმაც დაუფრთხო ასეთი საამური ძილი, მაგრამ თავი შეიკავა და მრისხანებით შეეკითხა.  
— რა გნებავთ ყმაწვილო. ასე უცბად დაგავიწყდათ, რომ ჩემი ნებართვის გარეშე არავინ გაბედოს საბჭოში მოსვლათქო. ნუთუ ჩემი მითითება შენთვის კანონი არ არის?.. აბა, მიჩვენე თუ გაქვს ჩემი ნებართვა.  
— დიად, სწორედ მაგისათვის გეახელით, ხვალ მინდა თქვენთან სკოლის საკითხებზე ვისაუბრო და დღეს ნებართვის ასაღებად ჩამოვედი... ბოდიში შეწუხებისათვის.  
ხასანი სახტად დარჩა... მას სრულიად დაავიწყდა, რომ საბჭოში დღეიდან მთხოვნელები ორმაგად ივლიან, ნებართვისათვის ცალკე და სხვა საკითხებისათვის კიდევ ცალკე... საწყალ ხასანს ჭირის ოფლმა დაასხა.  
დამსწრე


ნახ. დონისა.

### უჩამოკალი

(ს. წევა, ზესტაფონის რაიონი)


- კაცო, ანდრეევს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იაშა გაჩეჩილაძე ნამდვილ ქერის ორმოში ჩავარდნილა თურმე.
- როგორ?
- როგორ და რაც ღვინო გაუყიდნია ამ ორ წელიწადში, კოლმეურნეობის წევრებისა, არავისთვის ფული არ მოუტია დღემდე.
- ვერ დავიჯერებ.
- თუ არ დაიჯერებ და აგერ ჩამოგიტვლი. თეიმურაზ გაჩეჩილაძის მართებია 3.000 მან. დარისპან ჭანკოტაძის 2.000 მ., ბიქტორ ნიშნიანიძის 2500 მან., სამსონა ნიშნიანიძის 1.500 მან., ვალაქტიონ გელაშვილის 1200 მ. შალიკო გაჩეჩილაძის 700 მან... და ყველას ვერც ქე მოვიგონებ.
- სწორედ გითხრა ვერ წარმომედგინა.
- ვერ წარმომედგინა კი არა, სხვა რამეებშიაც ქონია გამოჩენა.
- მაინც.
- ხარაგოულის სკოლისათვის მიუყიდია 50.000 ცალი კრამიტი ასი ცალი 50 მანეთად. თითონ კი გადაზიდვით ასი ცალი დაჯდომია 40 მანეთი. ასე რომ აქედანაც ხუთასიოდღე თუმანი გაუიმასქნებია.
- პირდაპირ გასაგიჟებელი ამბავია.
- რაც ხილი გაუყიდნიათ კიდევ, ერთი კაპეიკიც არ ყოფილა თურმე გატარებული შემოსავალში.
- ნუ გადამრიე კაცო.
- შენ გინდ გადაირიე, გინდ არა და ის კაცი ქე არის ბულასავით გასუქებული. თურმე ვენახის ყიდვაშიც ბლომად გაუქაფავსო—ამბობენ.
- კი, მაგრამ ზესტაფონის რაიმიწვანი არ ჩაერია ამ საქმეში?
- რა ვიცი ძმაო, რაიმიწვანიდან ჯერ არავინ გვინახავს და...
- ???

### ერბოპარაქქეხნიორლიწინსაზუბაერთმობაჩაბაბა



მოლაყაბა—მოხსენებლის ოხნება  
— ყოველი სიტყვა რომ ამხივრძე იყოს, აი, მესმის მაშინ მოხსენების ვაკეთება...

# ღლას ქრივი



## ვანო ავიაქოვის და მიხო ბრეზინის მებობრუნი შეხვედრა



— ყმაწვილო, ამას ქვია მეგობრული შეხვედრა?!

**შვილისშვილის ღლიონი**  
(სოფ. ნაჩხეთაური, სამტრედიის რაიონი)  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

კოოპერატივში  
გოგავა ვარ ბიჭი,  
ხალტურებში ნათლად  
გამომჩინდა ნიჭი.  
თუმნიან საქონელს  
ოც მანეთად ვყიდი,  
არვისა მეშინია  
არვის მაქვს რიდი.  
ერთხელ მომხსნეს, მაგრამ  
ისევ შემოვფერინდი,  
დავნავარდობ რადგან  
მფარველი მყავს დიდი

სკვანჩა

### ძალღება დამაქიქავს

(ღანჩხუთი).

ქალქის სასადილოში  
შეველი სასადილოდა,  
(წყნარი რამ იყო საღამო  
ქუჩებში ნახად გრილოდა).  
იქვე დავეგდე სკამზე... და  
არაქათ გამოლოყულმა  
შევსძახე: ჩქარა სადილი  
კუჭმა დამჩაგრა წყეულმა.  
პურს წავატანე ხელი და...  
დამეცა შიშის ზარია,  
გარს შემორტყმოდა მაგიდას  
ძალღების მთელი ჯარია.  
გაინავარდეს თეფშებზე  
შეთქვლიფეს რასაც მიაგნეს,  
შემდეგ მებდღენენ და უნდობლად  
დამგლიჯეს დამაქიქავს.

სერელი

# ამხანაგო ნიანგო

## ამხანაგო ნიანგო!

რამდენადაც ვიცი, განსაკომის მიერ და-  
მტკიცებული ინსტრუქცია შესამოწმებელი გა-  
მოცდების ჩატარების შესახებ უცვლელად გა-  
ტარდა ყველა სკოლაში. მხოლოდ ქ. ცხაკაი-  
ას საშუალო სკოლის დირექციამ შეიტანა მა-  
სში მცირედი კორექტივი.

გამოინატება ეს კორექტივი იმაში, რომ  
მეცხრე კლასის ფრიადოსანი მორდეს გაგულა-  
შვილი არ გამოცხადებულა ორი საგნის გამო-  
ცდაში მიუხედავად იმისა, მას ფრიადები და-  
უწერეს, — რომ ყოფილიყო, ფრიადზე ჩაგვა-  
ბარებდაო. ასევე არ გამოცხადებულა მოსწა-  
ვლე თამარა ქუთელია ქიმიის ჩასაბარებლად.  
მას დაუწერეს ცული.

— ისეთი გამომეტყველება აქვს, რომ შე-  
ქველად „ცულზე“ გვიბასუხებდაო.  
ამხანაგო ნიანგო, ჩვენ ვიცი, რომ არ-  
სებობს დაუსწრებელი სწავლების ინსტიტუტი,  
მაგრამ თუ სკოლის კედლებში დაუსწრებელი  
გამოცდების მეთოდიც არსებობდა, ეს მხო-  
ლოდ ახლა გავიგეთ.

ც. აბაღელავა  
ა. პერტულავა

## ამხანაგო ნიანგო!

ეს რომელი აუცილებლობით არის გამო-  
წვეული, რომ თბილისში ქუჩების ხვეტას იწ-  
ყებენ დილით სწორედ იმ დროს, როდესაც  
ამოდენა მიღეთი ხალხი სამსახურში მიდის?  
სამუშაოდ მიდიხარ კაცი და ამოდენა მტვერს  
შიგ ცხვირპირში გაყრიან.

მერე მოდიხარ. უკან, ისევ სახლში, სამნა-  
ხევარ საათზე, ფიქრობ მოვინელე ამოდენა  
მტვერიო, სწორედ იმ დროს მთელი ქუჩები  
შეუკრავთ მეფოვეებს და ქუჩების „სანიტ-  
რებს“ და რაც ძალი და ღონე აქვთ ამ მტე-  
ერს ისევ შიგ პირში გაყრიან. ნუ თუ არ შე-  
იძლებოდა ეს საქმე ვინმე მაღლიან კაცს მო-  
ეწესრიგებინა?

გასაგებია, ქალაქისა და რაიონის საბჭო-  
ებს აუარებელი საქმეები აქვთ, და ეს „წვრილ-  
მანი“ საქმე როგორც ქუჩების მტვერია, ვერც კი  
„გაახსენდება“, მაგრამ გამოგვირკევე, საწყე-

ნად ხომ არ დარჩებათ ჩვენს დედაქალაქში  
სანიტარიის დაცვის შესვეურებს ჩვენ რომ გა-  
ვასხენოთ?


ნაფუქოდონოსორი

## ამხანაგო ნიანგო!

როგორც მოგეხსენებათ, მარლი წყალში  
დნება. ეს იცის მარლის ყველა მომხმა-  
რებლებმა სქესისა და სოციალური მდგო-  
მარეობის მიუხედავად. მაგრამ თურმე ეს არ  
ესმით „გრუზსნაბსბიტის“ და „გლავსოლის“  
დიღების საწყობის მესვეურებს. მათ ეზოში  
დაუყრიათ რამდენიმე ვაგონი მარლი, რო-  
მელსაც წვიმა ადნობს და ტალახი აქუტყია-  
ნებს.

ამ დალოცვილებს, ნუ თუ მოყვანილ მაგ-  
ალითიდან მაინც არ შეუძლიანთ იმის გაგება,  
რომ წყალი მარლის ადნობს, ხოლო დამდნარ  
მარლის წონაში აკლებდა?

კირილე



ერეკლე მეფეს ერთი შინაყმა გლეხი ჰყავდა, ხუმარა. სახელად ოიანა-ბუიანა. 1795 წლის აგვისტო მეტად ცივი და წვიმიანი დადგა. მეფე მაინც გასული იყო თბილისიდან თავისი ოჯახობით კოჯორში.

სწორედ ამ დროს მოვიდა დესპანი აღამაჰმადხანისაგან. მან ერეკლე იკითხა მოსალაპარაკებლად.

ხუმარას ერგო კოჯორს წასვლა დესპანის მოსვლის შესატყობინებლად. საღამო უამი იყო, როდესაც ცხენებით წამოვიდნენ კოჯორიდან ერეკლე მეფე, მისი ამაღა და ხუმარა. ხუმარა ფეხდაფეხ მოსდევდა მეფეს ცხენით. ერეკლეს ცხენის ტახტაზე უკან ჩაკრული ჰქონდა ნაბადი წვიმიანობის გამო, მაგრამ მშვენიერი საღამო იყო, ცა სრულიად მოწმენდილი. კოჯორიდან უბერავდა ცივი ნიავი. ოქროყანის მთაგრეხილებიდან რომ გადმოჰხედეს თბილისს, დაინახეს — მტკვარს გაღმა, მახათას გორაზე მწყემსებს ცეცხლი დაენთოთ.

— ნაბადი წამოისხი ბატონო, არ შეგცივდეს. — მოახსენა ხუმარამ მეფეს.

მეფემ გაჰხედა მახათაზე დანთებულ ცეცხლს, ხელები მოიფშენიჭა ზედ და ხან ერთის და ხან მეორე გვერდის მიშვერით მახათისკენ, წარმოსთქვა:

— იფ, იფ, იფ, იფ, აი გაეთბი, აღარ შემცივდებო.

თანაც გვერდზე გამოჰხედა ხუმარას: ეგონა, ხუმრობით სიტყვას მოუჭირდა იგი, გააცინებდა მეფეს. მაგრამ ოიანა-ბუიანამ შუბლი შეიკრა და ისე დადუმდა თითქო არც კი გაუგია ერეკლეს ხუმრობა.

\*\*\*

თბილისში ჩამოვიდნენ.

მეფემ დესპანი მიიღო, ხოლო ხუმარას დაავალა, სანამ ჩვენ ვიმსჯელებთ, კარგი ვახშამი მოგვიმზადეო.

როცა მეფემ დესპანთან ბჭობა გაათავა მოიხმო ხუმარა და უთხრა, ვახშამი რასა შერებო?

— იხარშებო მოახსენა ხუმარამ.

გავიდა ხანი და ვახშამი კიდევ არა ჩანდა.

კიდევ მოიხმო მეფემ ხუმარა:

— ვახშამი რასა შერებო.

— იხარშებო. — უპასუხა.

ცოტა ხანს კიდევ უცადა მეფემ და შემდეგ თვითონ მივიდა ოიანა ბუიანასთან უსაყვედურა: ნუთუ აქამდე ვერ მოიხარშაო.

— იხარშება ბატონო, თუ არა გჯერათ, აი თქვენის თვალითა ნახეთო — უთხრა მახარამ და შეაღო ერთერთი ოთახის კარი. მაგრამ რას ჰხედავს მეფე ხუმარას მალდა ტერში ჩამოუკიდნია დიდი ქვაბი, ხოლო ქვეშ, იატაკზე დაუნთხა პატარა სანთელი.

განრისხდა მეფე:

— რამ გაგაგოეა! ეს სანთელი იმ სიმაღლეზე, იმოდენა ქვაბში საქმელს მოხარშავსო?!

— რატომ არა ბატონო — უპასუხა ხუმარამ: თუ შენ კოჯორიდან გათებოდა მახათაზე დანთებულ ცეცხლზე, სანთელი უფრო ახლო არ არიო?

ის—ის იყო. მეფე უფრო მეტად უნდა განრისხებულიყო, რომ ხუმარამ მოახსენა — დილა, — ბატონო, ეს თქვენი ხუმრობის პასუხი გავლდათ, ხოლო ნამდვილს მეორე ოთახში გიჩვენებო.

შეაღო ხუმარამ მეორე ოთახის კარი და უჩვენა მეფეს უკვე გამზადებული ვახშამი.

ი. მკვილიშვილი

## აგებები ჩოხაჯაურიდან


აქ აფთიაქში ისე წვიმს, როგორც ცისა ქვეშ, გარედა, ჭებებში დგანან და ისე შრომის ოფლს ღვრიან მწარედა.

იმავე აფთიაქშია ნიანგო, თუ დაიჯერებ, პროვიზორები დრო და დრო მორიელებსაც იჭერენ.

და დროგვით დატვირთულს ხრიგინით დააჭენებს.

მეთვალყურე სად არის საქმის გამკითხვია? სთქვეს აქაურ ავტოტრანსს დაჰკარგვია თავია.

ამ საგზაო სექციას საყვედური სჭირდება,



აქ აფთიაქის აგება დაიწყეს დიდის დავითა, მაგრამ ის ვეღარ აშენდა სურამის ციხესავითა.

ზოგიერთი შოფერი მგზავრებს შესხამს საქეზე

გზებს თუ არ შეაკეთებს. მაინც ნულარ გვირდება.

ხიდი გადეს ისეთი, ზედ ურემიც ძლივს გადის ზოგჯერ ავტომანქანა ყირამალა გადადის.

მწელოლი

რედაქცია

## ჩვენის უოსვა

კალს (ს. ლია, წალენჯიხის რაიონი). ლიის სკოლის მშენებლობა, როგორც თქვენ ამბობთ, ხუთი წელია გრუელდება. მშენებლებმა — სამუშაომ, ვიცნე იროდემ და მაკარიმ ისე ძო. წყვეს საქმე, რომ

„მშენებლობა დაიწყო და აღარ არის გათავება, იხე კი სდვას, როგორც მკვდარი, არც მატულობს, არცა ჰქრება...“

მშენებლობის გაჭიანურებს ფ.ქტს „ნიანგიც“ ჰგობს. მას მიუღებლად მიიჩნია აკრეუვე თქვენი შედარება „სდვას, როგორც მკვდარი“, ვინაიდან მკვდარი, როგორც წესი, უნდა იწყეს ისე როგორც თქვენი ლექსი წვეს ახლა ნიანგის გოდორში.

კოლოს (დანირ-ქუტირი, წულუკიძის რაიონი). ამ ბოთ, რომ დანირ-ქუტირის

„კოლონატის ნოქრალა ჰყავს კობთა ბიჭი ცოტ. მე... ორმაგად ჰყიდის საქონელს, აღარ სჯერდება ცოტაზე.“

თუ ეგ ნამდვილად ასეა, ნიანგი გიჩვენებ:

პასუხი დროზე მოსთხოვეთ, ნუ იდებთ ცოდვას ცოდვაზე.

## განმარტება

ქურნალ „ნიანგის“ 1939 წლის №1-ში მე-15 გვერდზე მოთავსებული მასალა გეგმეკორის რაიონის ექიმ დომენტი ჯიქიას შესახებ, როგორც გეგმეკორის რაიონალურმა გვატყობინებს — არ დადასტურდა.


# გეოგრაფიული „თაბაში“

გერმანიასთან სამხედრო ხელშეკრულების დადებით, იტალიამ ფაქტობრივად დაპყრობა დამოუკიდებლობა და გერმანიის ნება-სურვილს დაექვემდებარა.

(გავითვალისწინო)

ნახ. ი. ქიქოძის მიერ  
გეოგრაფიული

29 270



— რას სჩადისარ, ჰერ, ეს სომ სამკუთხედს ალარ ემგვანება?  
— სამაგიეროდ — უნეს კუთხე — ჩემს კუთხეში იქნება.